ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. ივნისის 5. № 8 ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

73. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან აღსრულების შემმოწმებელი კომისიების მოწყობის შესახებ.

74. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს მოწყობისა და ამ სამმართველოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს შესახებ.

75. „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების" მე-6 მუხლის დამატების შესახებ.

76. იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, 11, 12, 13, 26, 28 და 30 მუხლების და ამ დებულების შესავალი დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ.

### მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

77. წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობისა და ამ ორგანოების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

დროებითი დებულება წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

78. საქართველოს სსრ-ის სარწყავ რაიონებში სავალდებულო წესით მარტივ ჰიდროკულტურულ ღონისძიებათა (ჰიდრომინიმუმის) ჩატარების შესახებ.

79. ცხენების დასაგრილებლად 1931 წლის კამპანიის პერიოდში სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ტრანსპორტისათვის დროებით სანაშენო ულაყი ცხენების ჩამორთმევის შესახებ.

80. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თაობაზე" გამოცემული საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისათვის $1^1$ და $11^1$ მუხლების დამატების შესახებ.

### კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

81. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან კომუნალური მეურნეობის სამმართველოს მოწყობისა და ამ სამმართველოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველოს შესახებ.

### ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

82. 1931 წ. წარვლინებებისა და საგამოკვლევო სამუშაოების ხარჯის შესახებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შ რ ო მ ა.

83. მომუშავე კადრების და საჭაპანზიდვო მუშა-ძალის შეკრეფისა და ამ კადრებით და მუშა-ძალით სამეურნეო ორგანოების შევსების შესახებ.

84. სასოფლო საბჭოებისათვის სოფლად თავისუფალი მუშა-ძალის გამორკვევის მოვალეობის დაკისრების შესახებ.

### სოციალურ-კულტურული წყობილება.

85. საქართველოს სსრ-ის მშრომელ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის შესახებ.

86. სანიტარული მინიმუმის შესახებ.

### სისხლის სამართალი.

87. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების იმ პირებზე გავრცელების შესახებ, რომელთაც აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წლის მარტის 4-მდე ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.

88. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების იმ პირებზე გავრცელების შესახებ, რომელთაც აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წლის მარტის 18-მდე ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.

### სასამართლოს წყობილება და სამართლის წარმოება.

89. დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისა და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის შესახებ.

90. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 182 მუხლის დამატების შესახებ.

---

## სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

## 73. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან აღსრულების შემმოწმებელი კომისიების მოწყობის შესახებ.**

„მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხარეო (საოლქო) აღმასრულებელ კომიტეტებთან აღსრულების შემმოწმებელი კომისიების მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 13-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. მე-9 №-ი, მუხ. 100) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან აღსრულების შემმოწმებელი კომისიები, რომელთა ძირითად ამოცანას შეადგენს მთავრობის დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რექტივების ფაქტიური აღსრულების შემოწმება და ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში, მათ შორის აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციებში, დისციპლინის განმტკიცება.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან აღსრულების შემმოწმებელი კომისია მოეწყოს შემდეგი შედგენილობით: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. სუხიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. გოგია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი—ამხ. ფანცულაია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დევდარიანი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მაჩაიძე და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების კავშირის (კოლმეურნეობათა ცენტრის) თავმჯდომარე ამხ. წულუკიძე.

3. მიენდოს აფხაზეთის ავტონ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განსაზღვრონ მათთან მოსაწყობი აღსრულების შემმოწმებელი კომისიების შედგენილობა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის შედგენილობის შესაბამისად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მარტის 13.
ტფილისი.

---

## 74. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს მოწყობისა და ამ სამმართველოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.**

„მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ლიკვიდაციის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 60 №-ი, მუხ. 640) და „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. იანვრის 17-ის დადგენილების შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 60) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველო და დამტკიცებულ იქნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა დადგენილებასთან დართული დროებითი დებულება აღნიშნული სამმართველოს შესახებ.

2. მიენდოს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ თავიანთ პრეზიდიუმთან, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1930 წ. დეკემბრის 15-ის, დადგენილების საფუძველზე: აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს სამმართველოები, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს განყოფილება.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1931 წ. მარტის 13.
ტფილისი.

## დროებითი დებულება

### საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს შესახებ.

1. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მუშათა და გლეხთა წითელი მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროსათვის ხელმძღვანელობისა და ადმინისტრატიული ზედამხედველობის გასაწევად, იმ ზედამხედველობის გამოკლებით, რასაც ანხორციელებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი უშუალოდ ან მასთან არსებული საორგანიზაციო განყოფილების მეშვეობით,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველო.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარ სამმართველოს დაეკისრება:

ა) განახორციელოს მთავრობის ყველა დადგენილება და განკარგულება რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საკითხების შესახებ;

ბ) ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის და სისხლის საქმეთა სამძებრო ორგანოების მოქმედებას რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის სფეროში;

გ) მოაწყოს სამწყობრო სამილიციო სამსახური და თვალყური ადევნოს ამ სამსახურის სათანადოდ შესრულებას; ინსტრუქტირება და ინსპექტირება გაუწიოს ადგილობრივი ორგანოების მოქმედებას ამ სფეროში;

დ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი მილიციაში სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცებისა და მილიციის თანამშრომელთა პოლიტიკურად აღზრდისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მოაწყოს და განაგოს გამხედროებული საუწყებო დაცვის ერთეულები და საუწყებო სამძებრო;

ვ) შეიმუშაოს ღონისძიებანი საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა წინასწარი აცდენისა, გამოაშკარავებისა და გამოკვლევისათვის, ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს ადგილობრივი ორგანოების მოქმედებას ამ სფეროში და ზედამხედველობა იქონიოს მათ მუშაობაზე;

ზ) ხელი შეუწყოს ხელისუფლების ორგანოებს მათ ღონისძიებათა გატარებაში იძულებითი წესით და აგრეთვე განახორციელოს მთავრობის ორგანოების დადგენილებანი და ღონისძიებანი კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში;

თ) დანიშნოს, გადაიყვან-გადმოიყვანოს და დაითხოვოს მუშათა და გლეხთა წითელი მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს თანამშრომელთა საკომანდო შედგენილობა მუშათა და გლეხთა წითელი მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს დებულებისა და სპეციალური დადგენილებების საფუძველზე;

ი) მოამზადოს და გარდაამზადოს მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს კადრები;

კ) მოამარაგოს მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს ორგანოები ტანსაცმლით, საჭურვლით და იარაღით; შეავსოს და აღნუსხოს მილიციის ცხენთ შედგენილობა; მიაწოდოს მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს ორგანოებს სპეციალური ინვენტარი და მასალა;

ლ) შეამზადოს მასალები საზოგადოებრივად საშიშ პირთა საადმინისტრაციო წესით განდევნისათვის ამ მასალების სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებულ განსაკუთრებულ თათბირში წარსადგენად; აგრეთვე შეასრულოს დადგენილებები და განაჩენები განდევნის შესახებ;

მ) გაუწიოს ხელმძღვანელობა კლუბებისა, გასართობებისა, სანახაობებისა, სვლებისა, მანიფესტაციებისა და სხვ. მოსაწყობად ნებართვის გაცემას, აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს ბეჭდებისა და შტემპელების გასაკეთებლად ნებართვის გაცემის საქმეს;

ნ) გაუწიოს ხელმძღვანელობა მოქალაქეთა აღნუსხვისა და ჩაწერის საქმეს;

ო) გაუწიოს ხელმძღვანელობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ ისეთ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედებას, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, აგრეთვე რელიგიურ შენაერთთა მოქმედებას;

პ) თვალყური ადევნოს ვაჭრობის რეგულირებისათვის არსებულ წესებს;

ჟ) განახორციელოს საადმინისტრაციო ზედამხედველობის სხვა ფუნქციები, რაც კანონით ხელისუფლების სხვა ორგანოების გამგებლობის საგანს არ შეადგენს.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად მილიციის და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარ სამმართველოს უფლება აქვს გამოსცეს ხოლმე თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილებები, სამსახურის წესდებები, ინსტრუქციები, ცირკულარები და ბრძანებები; ამასთანავე, რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საკითხების სფეროში უფლება აქვს გამოსცეს მთელი მოსახლეობისათვის სავალდებულო

ეროვნული

დადგენილებები „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულებაში“ გათვალისწინებული წესით.

4. მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს სათავეში სდგას საქართველოს სსრ მილიციისა და სამძებროს უფროსი, რომელსაც დანიშნავს და გაიწვევს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და რომელსაც სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში აქვს სათათბირო ხმის უფლება.

საქართველოს სსრ მილიციისა და სამძებროს უფროსი გადასწყვეტს ერთპიროვნად მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს ქვემდებარე ყველა საკითხებს.

5. მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარ სამმართველოს სტრუქტურა და შტატები დამტკიცებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესისამებრ.

6. მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარ სამმართველოსთან არსებობს: ა) გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადა და ბ) ცენტრალური სამეცნიერო-სატეხნიკო ექსპერტიზის ბიურო, რომელნიც მოქმედობენ განსაკუთრებული დებულებების თანახმად.

7. მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები არიან: მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს სარაიონო და საქალაქო სამმართველოები, რომლებიც მოქმედობენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა უფლებით.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველო ინახება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სამმართველოს განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვით გადადებული სახსარით.

მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს სარაიონო და საქალაქო სამმართველოები ინახებიან რესპუბლიკანური მასშტაბით ცენტრალიზებული ადგილობრივი სახსარით.

მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს სახარჯთაღრიცხვო კრედიტებისა და მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს ადგილობრივი ორგანოების შესანახი ცენტრალიზებული სახსარის კრედიტების განმკარგულებელი არის საქართველოს სსრ მილიციისა და სამძებროს უფროსი.

9. მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების წარწერით.

---

## 75. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**„სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების“ მე-6 მუხლის დამატების შესახებ.**

„ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციათა გამოცემისა და მათი დარღვევის გამო ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების 1[1] მუხლის შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 113; „ზარია ვოსტოკა“ 1931 წ. მე-14 №-ი), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების“ მე-6 მუხლს (საქ. კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 100; 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 92; 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 145 და 23 №-ი, მუხ. 288; 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 169) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** სავალდებულო დადგენილებები გზატკეცილებსა და ყამირგზებზე, აგრეთვე დასახლებულ ადგილებში საერთო სარგებლობის გზებზე ავტო-მოტო-მანქანების მოძრაობის წესისა და უშიშროების დაცვის საკითხების შესახებ შეთანხმებულ უნდა იქნეს ხოლმე საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მარტის 13.
ტფილისი.

---

## 76. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, 11, 12, 13, 26, 28 და 30 მუხლების და ამ დებულების შესავალი დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების, რომელნიც მოგებას არ მისდევენ (კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 339), 11, 12, 13, 26, 28 და 30 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„11. იმ საზოგადოებისა და კავშირის წესდებას, რომელიც მოგებას არ მისდევს, დაამტკიცებს, ამ საზოგადოებისა თუ კავშირის მოქმედების მასშტაბის შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ან და იმ ქალაქის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც გამოყოფილია დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულად“.

ეროვნული

„12. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს არ შეუძლიან ისეთი საზოგადოების ან კავშირის წესდების დამტკიცება, რომლის მოქმედების რაიონიც სცილდება ამ აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს ტერიტორიას, თუნდაც ეს მოქმედება მხოლოდ ნაწილობრივ ვრცელდებოდეს სხვა აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს ტერიტორიაზე. ასეთი საზოგადოების ან კავშირის წესდება უნდა გაეგზავნოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს“.

„13. იმ საზოგადოების ან კავშირის წესდებას, რომელიც მოგებას არ მისდევს და რომლის მოქმედებაც საქართველოს სსრ-ის ფარგლებს სცილდება, დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, უკეთუ საზოგადოების ან კავშირის გამგეობის სამყოფელი ადგილი საქართველოს სსრ-ის ფარგლებში იქნება“.

„26. საზოგადოების რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს ორ-ორ ცალად: ა) საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს მიერ ხელმოწერილი განცხადება საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ; ბ) აღმასრულებელი ორგანოს წევრთა და საზოგადოების ყველა წევრთა სია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს მიერ დადგენილი ფორმით; გ) ოქმი აღმასრულებელი ორგანოს არჩევის შესახებ; დ) ცნობა აღმასრულებელი ორგანოს სამყოფელი ადგილის შესახებ“.

„28. ის კავშირი, რომელიც მოგებას არ მისდევს, თავისი რეგისტრაციისათვის წარადგენს ორ-ორ ცალად: ა) კავშირის დამფუძნებელ შენაერთთა აღმასრულებელი ორგანოების განცხადებას; ბ) კავშირის აღმასრულებელი ორგანოს წევრთა სიას—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს მიერ საზოგადოების დამფუძნებელთათვის დადგენილი ფორმით; გ) ოქმს აღმასრულებელი ორგანოს არჩევის შესახებ; დ) კავშირის წევრთა (შენაერთების) სიას; ე) ცნობას კავშირის აღმასრულებელი ორგანოს სამყოფელი ადგილის შესახებ.

„30. ის საზოგადოება ან კავშირი, რომელიც მოგებას არ მისდევს და რომლის მოქმედებაც საქართველოს სსრ-ის ფარგლებს სცილდება, როდესაც ამასთანავე მისი წესდება დამტკიცებულია საქართველოს სსრ-ის ფარგლებს გარედ, თავისი მოქმედების დასაწყებად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ვალდებულია სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული წესდება დაარეგისტრიროს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოში. ამისათვის საზოგადოება ან კავშირი წარადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოში ორ-ორ ცალად: ა) წესდების ასლს, რომლის ერთი ცალი სანოტარო წესით უნდა იქნეს შემოწმებული, ან სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის იმ ნომერს, სადაც გამოქვეყნებულია წესდება; ბ) ცნობას საზოგადოების ან კავშირის აღმასრულებელი ორგანოს სამყოფელი ადგილის შესახებ; გ) საანკეტო ცნობას საქართველოს სსრ ფარგლებში მომქმედი აღმასრულებელი ორგანოს შესახებ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს მიერ დადგენილი ფორმით; დ) ცნობას სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოების ან კავშირის განყოფილებათა შესახებ საქართველოს სსრ-ში მათი სამყოფელი ადგილის აღნიშვნით და ე) განცხადებას წესდების რეგისტრაციის შესახებ, რაც ხელმოწერილი უნდა იყოს საზოგადოების ან კავშირის აღმასრულებელი ორგანოს მიერ“.

II.

მე-4 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილებისა „იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების დამტკიცების და სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ“ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 339), მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. ინსტრუქციებს იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების შეფარდებისათვის, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, და ტიპურ წესდებებს ამ საზოგადოებათა და კავშირთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის გამოსცემს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1931 წ. მარტის 1.
ტფილისი.

---

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

### 77. დადგენილება ს. კ. ს.

**წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობისა და ამ ორგანოების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.**

დროებით, ვიდრე ა/კსფსრ-ის კანონმდებლობის წესით, ა/კსფსრ ტერიტორიაზე დამყარდებოდეს წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების საერთო სისტემა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დროებითი დებულება წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს, 20 დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოცემის დღიდან, მოაწყოს—სათანადო შემთხვევაში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე—მათ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით,—წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოები ამ ორგანოების დროებითი დებულებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, 10 დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, მოაწყონ ზემოაღნიშნული დროებითი დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ორგანოები წყალმოსარგებლებს შორის აღძრულ დავათა გადასაწყვეტად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. თებერვლის 28.
ტფილისი.

## დროებითი დებულება

## წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

### ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ოლქითურთ, წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოები არიან:

1) წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოები და წყლის საინჟინერო სისტემების სამმართველოები, რომელნიც მოქმედობენ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელობით, დავალებებით და დირექტივებით;

2) წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოების ქვემდებარე: ა) სამერაბოები და ბ) სასოფლო საჯუვაროები.

**შენიშვნა.** წყალმოსარგებლეთა კოლექტიური შენაერთები (სამელიორაციო ამხანაგობები), რომელთაც, წყლის გამოსაღების დებულების მე-20 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 29 №-ი, მუხ. 419), გადაცემული აქვთ საექსპლოატაციოდ სარწყავი სისტემები, მოქმედობენ მათ შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დებულებისა და თავიანთი წესდებების საფუძველზე; ამასთანავე სამერაბოები და საჯუვაროები უშუალოდ ექვემდებარებიან ამ შენაერთებს საადმინისტრაციო და სამეურნეო ხაზით, ხოლო წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოებს—ტეხნიკური ხაზით.

2. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები წყალთა მეურნეობის სფეროში:

ა) რაიონის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოქმედებას წყლის სისტემების შენახვისა და ექსპლოატაციის სფეროში და აძლევენ მათ საერთო დირექტივებს;

ბ) ათანხმებენ წყალთასამეურნეო სამუშაოთა გეგმებს სათანადო რაიონის სახალხო მეურნეობის საერთო გეგმებთან, ამტკიცებენ ცალკეულ წყალსამეურნეო სამუშაოთა საკალენდრო გეგმებს, კერძოდ—წყალსამეურნეო ბეგარის ჩატარებისა, სარწყავი სისტემების მიმდინარე რემონტისა და წყალმატებასთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსილვასთან ბრძოლისათვის, და თვალყურს ადევნებენ ამ გეგმების ზედმიწევნით შესრულებას დადგენილი ვადების შესაბამისად;

გ) აკავშირებენ წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ღონისძიებებთან, რაც განსახორციელებელია რაიონების ტერიტორიაზე;

დ) სწყვეტენ ამა დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ, დავას წყალსარგებლობის თაობაზე;

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებანი და განკარგულებანი ზემოაღნიშნული საკითხების გამო სავალდებულოა წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოებისათვის და მათი განპროტესტება, თანაც აღსრულების შეჩერებით, შეუძლიან საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

**შენიშვნა.** სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და წყლის საინჟენერო სისტემების სამმართველოებს შორის აღძრული შეუთანხმებლობის გადაწყვეტის წესი განისაზღვრება ამა დებულების მე-10 მუხლით.

3. წყალსარგებლობის თაობაზე აღძრულ დავათ გადასწყვეტენ: წყალმოსარგებლეთა შორის ერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებში— სასოფლო საბჭოს წყლის კომისია, ხოლო დანარჩენ დავათ—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წყლის კომისია.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წყლის კომისია მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: სარაიონო საადგილმამულო განყოფილების გამგე (კომისიის თავმჯდომარე), რაიონის აგრონომი, წყლის რაიონის გამგე (რაიონის ჰიდროტეხნიკოსი), მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარაიონო ორგანოს წარმომადგენელი და წყალმოსარგებლეთა ერთი წარმომადგენელი (ხოლო იმ ადგილას, სადაც წყლის სისტემების ექსპლოატაცია გადაცემული აქვს სამელიორაციო ამხანაგობას—ამ ამხანაგობის წარმომადგენელი).

სასოფლო საბჭოს წყლის კომისია მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), ადგილობრივი მერაბი და წყალმოსარგებლეთა წარმომადგენელი.

წყლის კომისიების გადაწყვეტილებანი შეუძლიანთ განასაჩივრონ დაინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა და განაპროტესტონ წყალთა მეურნეობის ადგილობრივმა ორგანოებმა ათი დღის ვადაზე გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან: სასოფლო საბჭოს წყლის კომისიის გადაწყვეტილება—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წყლის კომისიაში, ხოლო ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება—სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში. სარაიონთაშორისო დავას წყალსარგებლობის შესახებ გადასწყვეტს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო.

წყალმოსარგებლეთა საჩივრები სასოფლო ჯუვარებისა და მერაბების უკანონო მოქმედებაზე გადაწყდება წყალთა მეურნეობის ორგანოებისადმი მათი ხელქვეითობის წესით.

4. წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოები ინახებიან წყლის გამოსაღებით, გარდა საინჟენერო სისტემების სამმართველოებისა, რომელნიც ინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხარჯთაღრიცხვების მიხედვით.

**შენიშვნა.** წყალმოსარგებლეთა კოლექტიურ შენაერთებისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემულ სისტემებში მერაბები და ჯუვარები ინახებიან ამ შენაერთების ხარჯით.

## II. წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოები.

5. წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველო წყალთა მეურნეობის ორგანოა საირაჩონო აღმასრულებელი კომიტეტისა იმავე საზღვრებით, რა საზღვრებშიაც ადმინისტრატიული რაიონია.

**შენიშვნა.** წყლის სისტემების ხასიათისა და წყალსარგებლობის პირობების მიხედვით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, რამდენსამე ადმინისტრატიულ რაიონს მომსახურეობა შეიძლება გაუწიოს წყალთა მეურნეობის ერთმა სარაიონო სამმართველომ.

6. წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველო იმყოფება სარაიონო ცენტრში.

**შენიშვნა.** მმართველობისა და მომსახურეობის მიზანშეწონილობის პირობების მიხედვით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად (ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე მათი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებების თანახმად), წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველო შეიძლება სხვა ადგილასაც იმყოფებოდეს, სარაიონო ცენტრის გარეშე.

7. წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოს სათავეში სდგას წყლის რაიონის გამგე.

წყლის რაიონის გამგეს დანიშნავს და დაითხოვს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით, ისეთ პირთაგან, ვისაც სათანადო ტეხნიკური განათლება და საკმარისი პრაქტიკული სტაჟი აქვს.

წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოს დანარჩენ თანამშრომლებს დანიშნავს წყლის რაიონის გამგე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

8. წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოს დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოს თანამდებობის პირთა და წყლის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოქმედებას;

ბ) გამოარკვიოს წყალსარგებლობის პირობები, წყლის რაოდენობა მდინარეებში და არხებში და სარწყავი ფართობის რაოდენობა კულტურების მიხედვით; აგრეთვე მეთვალყურეობა გაუწიოს მორწყვის კამპანიის მსვლელობას;

გ) გამოიკვლიოს სარწყავი სისტემების მდგომარეობა და გადაიღოს ეს სისტემები გეგმებზე;

დ) გამოარკვიოს თავისუფალი წყლის რაოდენობა და აგრეთვე ის ადგილები, რაც საჭიროებს მის მორწყვას, მოწყალვას, დაშრობას და წყალდიდობისაგან დაცვას;

ე) აწარმოოს გამოკვლევები და შეადგინოს წყლის სისტემების მიმდინარე რემონტის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები;

ვ) თვალყური ადევნოს წყალსამეურნეო ნაგებობათა წესიერად გამოყენებას;

ზ) თვალყური ადევნოს წყალთა მეურნეობის იმ სამუშაოთა შესრულებას, რასაც აწარმოებენ დაწესებულებები, ორგანიზაციები და პირები;

თ) შეადგინოს და წარადგინოს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დადგენილ ვადაზე, წყალსამეურნეო და ნაპირების გამაგრებისათვის საჭირო სამუშაოთა გეგმები და შეუთანხმოს ეს გეგმები სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს;

ი) წარუდგინოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, ოპერატიული გეგმის მიხედვით, ცალკეულ წყალსამეურნეო სამუშაოთა საკალენდრო გეგმები, კერძოდ—წყალსამეურნეო ბეგარის ჩატარებისა და სარწყავი არხების სისტემების მიმდინარე რემონტისათვის და წყალმატებასა და ჩამოსილვასთან ბრძოლისათვის;

კ) აწარმოოს სამუშაოები წყლის სისტემების მიმდინარე რემონტისათვის;

ლ) აწარმოოს დროებითი ტიპის დამცველ ნაგებობათა სამუშაოები წყალდიდობასა და ჩამოსილვასთან საბრძოლველად;

მ) შეადგინოს სოფლობითი და სისტემობითი სარწყავი გეგმები და დაუკავშიროს ეს გეგმები თესვის გეგმებს; ამასთანავე შედგენილი გეგმები მიაწვდინოს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებამდე და სხვა წყალმოსარგებლებამდე; განახორციელოს აღნიშნული გეგმები წყალთა მეურნეობის ქვედა ორგანოების მეშვეობით;

ნ) მიაწოდოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ინფორმაცია რწყვის კამპანიის მომზადებისა და განხორციელების სამუშაოთა მიმდინარეობისა, სარწყავი სისტემის მდგომარეობისა, სამშენებლო, საალმდგენო, სარემონტო და სხვა წყალსამეურნეო სამუშაოთა მსვლელობისა, ამ სამუშაოთა დაფინანსების საქმის მდგომარეობისა და აგრეთვე წყალსარგებლობის დროს კანონის დარღვევათა შესახებ;

ო) წარუდგინოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ანგარიში წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოს მოქმედებისა და ოპერატიული გეგმისა, ზემდგომი ორგანოების დირექტივებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებების შესრულების შესახებ; თანაც აღნიშნოს შემდგომი პერსპექტივები და სახარჯთაღრიცხვო განზრახულებანი.

**შენიშვნა.** უკეთუ წყლის ერთი სისტემა მომსახურეობას უწევს ორს ან მეტ რაიონს, რაიონებზე წყლის განაწილებისა და, კერძოდ, სისტემობითი სარწყავი გეგმების შეთანხმების ფუნქციებს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო დააკისრებს სისტემის ერთერთ გამგებელ წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### III. წყლის საინჟენერო სისტემების სამმართველოები.

9. წყლის საინჟენერო სისტემების სამმართველოები არსდება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებით და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარდგენით, საინჟენერო სარწყავი სისტემების უშუალო მმართველობისა და გამგებლობისათვის.

10. წყლის საინჟენერო სისტემების სამმართველოები უშუალოდ ექვემდებარებიან საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და თავიანთი მოქმედების შესახებ ინფორმაციას აწვდიან სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს; თანაც თავიანთ მუშაობას უთანხმებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების გეგმებს სახალხო მეურნეობის სათანადო დარგებში.

შეუთანხმებლობას სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და წყლის საინჟენერო სისტემების სამმართველოებს შორის გადასწყვეტს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო; სადავო საკითხი ეკონომიურ საბჭოში შეიტანება, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მეშვეობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი თანახმა არ არის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გადაწყვეტილებისა.

11. საინჟენერო სისტემების სამმართველოების სათავეში სდგანან ამ სისტემების გამგენი, რომელთაც დანიშნავს და დაითხოვს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო.

ამ სამმართველოების დანარჩენ თანამშრომლებს დანიშნავენ და დაითხოვენ სისტემების გამგენი; ამასთანავე სატეხნიკო თანამდებობაზე დანიშნულ პირთ დაამტკიცებს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო.

12. წყლის საინჟენერო სისტემების სამმართველოები ანხორციელებენ, საერთო წესისამებრ, მათ გამგებლობაში მყოფ სისტემებზე წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოების ყველა ფუნქციას (მუხ. 8).

ამ წესის შეცვლისა და დამატებისათვის საინჟენერო სისტემების სამმართველოებს დაეკისრებათ:

ა) თვალყური ადევნონ მთელ სარწყავ სისტემას და წყლის სისწორით განაწილებას მაგისტრალურ არხებზე, ცალკეულ რაიონებს შორის და გამნაწილებელ ქსელზე;

ბ) აწარმოონ გამოკვლევები და შეადგინონ პროექტები და ხარჯთაღრიცხვები სისტემების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის; აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიონ სისტემების გამაუმჯობესებელ ყველა სამუშაოს;

გ) გაუწიონ ტეხნიკური ზედამხედველობა მთელი სარწყავი სისტემის საერთო მდგომარეობას და მასზედ მდებარე ყველა ნაგებობას;

დ) აწარმოონ ყველა სამუშაო მიმდინარე და კაპიტალური რემონტისათვის და აგრეთვე დროებითი ტიპის დამცველ ნაგებობათათვის წყალდიდობასა და ჩამოსილვასთან საბრძოლველად;

ე) შეადგინონ და შეუთანხმონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს სისტემობითი სარწყავი გეგმები და აგრეთვე ოპერატიული გეგმით გათვალისწინებულ ცალკეულ წყალსამეურნეო სამუშაოთა საკალენდარო გეგმები, კერ-

ძოდ—წყალსამეურნეო ბეგარის ჩატარებისა, სარწყავი სისტემების რემონტისა და წყალდიდობასა და ჩამოსილვასთან ბრძოლისათვის.

**შენიშვნა.** საინჟენერო სისტემების სამმართველოებსა და წყალთა მეურნეობის სათანადო სარაიონო სამმართველოებს შორის ფუნქციების დაწვრილებითი განაწილება მოხდება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად.

## IV. ს ა მ ე რ ა ბ ო.

13. სამერაბოს აარსებს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო, სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, წყლის რაიონის ცალკეულ უბნებში, იმ ვარაუდით, რომ სარწყავი სისტემები მომსახურეობას უწევდნენ რამდენიმე სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებულ ტერიტორიას. მერაბი ემორჩილება წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოს და ეს სამმართველო ჰნიშნავს მას იმ პირთაგან, ვისაც აქვს სათანადო ტეხნიკური ცოდნა ან პრაქტიკული გამოცდილება.

14. მერაბს დაეკისრება:

ა) შეასრულოს წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოს გამგის განკარგულებანი;

ბ) თვალყური ადევნოს მთელი სისტემის და მასზედ მდებარე ყველა ნაგებობის წესიერ მდგომარეობას და იხმაროს ღონისძიება მათი დაზიანების ასაცილებლად;

გ) აღადგინოს წყალსარგებლობის დარღვეული წესი;

დ) თვალყური ადევნოს წყალნაკლებობის პერიოდში წყალსარგებლობის რიგის ზედმიწევნით დაცვას;

ე) იხმაროს ღონისძიება წყალსამეურნეო სამუშაოთა წარმოების მოსასპობად, უკეთუ ეს სამუშაოები ნებადართული არ არის;

ვ) პასუხისგებაში მისცეს წყლის მტაცებლობასა და წყალსარგებლობის წესის დარღვევაში დამნაშავე პირნი;

ზ) აწარმოოს სამერაბო დავთარი, რომელშიაც აღინიშნება ყველა სარწყავი წყარო, ამ წყაროებიდან გამოყვანილი ყველა არხი,—დაწვრილებით აღწერით,—და აგრეთვე ყველა წყალმოსარგებლე და მორწყვის ვადები დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

თ) შეადგინოს იმ წყალმოსარგებლეთა სიები, რომელნიც გაიწვევიან შრომისა და ჰაპანზიდვის ბეგარისათვის და შეუთანხმოს ეს სიები სათანადო სასოფლო საბჭოებს.

## V. სასოფლო საჯუვარო.

15. სასოფლო საჯუვარო მოქმედობს იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელსაც აერთიანებს სასოფლო საბჭო.

16. სოფლის ჯუვარი ემორჩილება სასოფლო საბჭოს, და მას დანიშნავს და დაითხოვს წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველო სასოფლო საბჭოსთან შეთანხმებით; ჯუვარი უნდა იყოს ღარიბ წყალმოსარგებლეთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. სოფლის ჯუვარს დაეკისრება,

ა) თვალყური ადევნოს არხებისა და მათზე მდებარე ყველა ნაგებობის წესიერ მდგომარეობას და იხმაროს ღონისძიება მათი დაზიანების ასაცილებლად;

ბ) თვალყური ადევნოს წყლის სისწორით განაწილებას გამნაწილებელ ქსელში, რომელსაც წყალი წყალმოსარგებლებამდე მიჰყავს;

გ) დაიცვას წყალი მტაცებლობისაგან;

დ) იხმაროს ღონისძიება დადგენილი წყალსარგებლობის წესის დარღვევის მოსასპობად;

ე) პასუხისგებაში მისცეს წყლის მტაცებლობასა და წყალსარგებლობის წესის დარღვევაში დამნაშავე პირნი;

ვ) შეადგინოს წყალმოსარგებლეთა სახელობითი სია, როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო კულტურების მორწყვის დაწყებამდე, სასოფლო საბჭოს განკარგულებით;

ზ) შეადგინოს წყალმოსარგებლეთა შორის წყალსამეურნეო ბეგარის სამუშაოების განაწილების გეგმა; შეადგინოს საჭირო მუშა-ძალისა, საშენი მასალისა, სატრანსპორტო საშუალებისა და ინვენტარის რაოდენობის განწესები;

თ) წარუდგინოს წყალმოსარგებლეთა საერთო კრებას და სასოფლო საბჭოს მუშაობის ანგარიში.

18. ის სოფლის ჯუვარი, რომელიც სამერაბოს შედგენილობაში არ შედის, წინა მუხლში აღნიშნულ მოვალეობათა გარდა, ასრულებს აგრეთვე მერაბის ყველა ფუნქციას (მუხ. 14).

---

## 78. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ-ის სარწყავ რაიონებში სავალდებულო წესით მარტივ ჰიდროკულტურულ ღონისძიებათა (ჰიდრონიმუმის) ჩატარების შესახებ.**

სარწყავი რაიონების წყალმოსარგებლეთა მასებში წყალსარგებლობის რაციონალური მეთოდების შთანერგვისათვის და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1931 წლის თებერვლის 8-ის თარიღისა და მე-2 №-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 42 №-ი) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დაევალოს სახელმწიფო ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სასოფლო საზოგადოებებს, აგრეთვე ცალკეულ წყალმოსარგებლეებს:

1) მოამზადონ ხოლმე რწყვის პერიოდისათვის სარწყავი მიწის ნაკვეთები მოსარწყავად—ამოაგდონ ძირკვები, გაასუფთაონ მიწა ქვისა და შამბისაგან, ამოავსონ ღრანტები და ორმოები და ააცილონ სხვა დაბრკოლება, რაც უშლის წყლის თავისუფლად დენას;

2) გაიყვანონ თავიანთ ნაკვეთზე რუების ქსელი ისე, რომ წყალი არ იკარგებოდეს და ეს ქსელი შეუერთონ საზოგადო რუს იმ ადგილას, რაც ნაჩვენები იქნება წყლის ადმინისტრაციის მიერ;

3) აწარმოონ მიწის ზამთრობით მორწყვა (არათი) ისეთ ფართობებზე, რასაც უჩვენებს აგრონომიული და წყლის მეურნეობის პერსონალი;

4) ვინიცობაა გაძნელდა სარწყავი წყლის გამოყენება და იგი ნაკლებადაა, შეაჩერონ მარცვლეული კულტურების მორწყვა იმ პერიოდებში, რაც დაწესებულია ბამბის ნათესის მორწყვისათვის;

5) რეგულარულად ასუფთაონ არხები სარეველა ბალახისა, შამბისა და ქვებისაგან, რათა არხებში წყალი ნაკლებად იკარგებოდეს;

6) ყველა სარწყავი კულტურის მორწყვა აწარმოონ წყლის ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ ვადაზე;

7) ან გააჩერონ უკვე გამოყენებული სარწყავი წყალი თავიანთ ნაკვეთებზე ან არ დააგუბონ იგი ახლო მდებარე ნაკვეთებზე, გზებზე, ცარიელ ადგილებზე და სხვ. და მიუშვან ისეთ ადგილებში, რაც ნაჩვენებია წყლის ადმინისტრაციის მიერ (უახლოეს გადასაგდებში, წყალშესაკრებში, არხში და სხვ.);

8) მიიღონ წყალი საზოგადო სარწყავიდან მხოლოდ ჯუვარის ნებართვით და ჩვენებით და, მორწყვის დამთავრებისთანავე, დაუყოვნებლივ დაკეტონ იგი;

9) არ დასტოვონ ხოლმე ნაკვეთებზე მიშვებული წყალი უზედამხედველოდ და მოაწესრიგონ მისი თანაბარი განაწილება; თანაც წყალი ხარჯონ გაფრთხილებით და ეკონომიურად;

10) მორწყვა აწარმოონ მთელი დღედალამის განმავლობაში (დღითაც და ღამითაც); ამასთანავე, ღამით მორწყვის დროს არ უნდა დასტოვონ ნაკვეთზე მიშვებული წყალი უზედამხედველოდ და უნდა შეასრულონ ყველა ის წესი, რაც დღისით მორწყვისათვის არსებობს;

11) შეასრულონ, წყლის ადმინისტრაციის დავალებით, საზოგადო სარგებლობის არხებზე სავალდებულო სამუშაოთა ნორმა საზოგადოებრივი საირრიგაციო ბეგარის წესით;

12) არ აძოონ საქონელი და არ ალევინონ მას წყალი არხებზე, არ გადარეკონ იგი ან ურმებით არ გადავიდნენ ხოლმე არხებზე, გარდა იმ ადგილებისა, რაც საამისოდ დანიშნულია წყლის ადმინისტრაციის მიერ, რათა თავიდან აცილებულ იქნეს არხის გაფუჭება, მორწყვის დაბრკოლება და გზებისა და დაბლობების მოლვარვა;

13) არ აწარმოონ მიწის მორწყვა ერთბაში მოლვარვით აგრონომის უნებართვოდ;

14) არ გადალობონ ხოლმე არხები ამა თუ იმ ადგილას წყლის აწევის მიზნით.

II. ზემოაღნიშნულ წყალსამეურნეო ღონისძიებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას იმ წესით, რაც დადგენილია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილებაში—საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 204).

საქ. სსრ ს. კ. ს ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ· მარტის 10.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 79. დადგენილება ს.კ.ს.

**ცხენების დასაგრილებლად 1931 წლის კამპანიის პერიოდში სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ტრანსპორტისათვის დროებით სანაშენო ულაყი ცხენების ჩამორთმევის შესახებ.**

ცხენების დასაგრილებელი 1931 წლის კამპანიის სანაშენო ულაყი ცხენებით უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ცხენების დასაგრილებელი კამპანიის პერიოდში (1931 წლის მარტი, აპრილი, მაისი და ივნისი) ჩამოერთვას დროებით სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ტრანსპორტს (სახანძრო ქარავნებისა და რაზმების გარდა) სანაშენო ულაყი ცხენები.

2. ჩამორთმეულ უნდა იქნენ სრულიად სალი და სანაშენოდ ვარგისი ულაყი ცხენები 3-დან 15 წლამდე იმისდამიუხედავად, არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი მათი მოდგმის შესახებ.

3. ჩამოსართმევი ულაყი ცხენების რიცხვი უნდა შეესაბამებოდეს ნამდვილ მოთხოვნილებას, ხოლო იმ პირობით კი, რომ იმ დაწესებულებათა და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას, რომელთაც ცხენები ჩამოერთმევათ, ამ ჩამორთმევით თვალსაჩინო ზიანი არ მოუვიდეთ.

4. ჩამორთმევა მოხდება უსასყიდლოდ. ულაყი ცხენების გადაყვანა და შენახვა გზაში როგორც საგრილებელ პუნქტამდე, ისე პატრონისათვის დაბრუნების დროს, აგრეთვე მათი შენახვა საგრილებელ პუნქტზე სწარმოებს სათანადო საგრილებელი პუნქტის პატრონის ხარჯით.

5. ულაყი ცხენების ჩამორთმევას აწარმოებენ კომისიები შემდეგი შედგენილობით: სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე) და საადგილმამულო ორგანოს და სავეტერინარო ზედამხედველობის თითო წარმომადგენელი.

6. ჩამორთმეული ულაყი ცხენები საგრილებელ პუნქტებზე გასაგზავნად გადაიცემიან სახელმწიფო ცხენთსამომშენებლოს განკარგულებაში.

7. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და ამ ინსტრუქციაში, სხვათა შორის, გაითვალისწინოს ის ადგილები, სადაც უნდა მოხდეს ულაყი ცხენების ჩამორთმევა ამა დადგენილების წესისამებრ, და თვითეულ ადგილას ჩამოსართმევი ულაყი ცხენების რიცხვი.

8. მიენდოს საქართველოს შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მარტის 10.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 80. დადგენილება ს.კ.ს.

**„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისათვის $1^1$ და $11^1$ მუხლების დამატების შესახებ.**

„ კოოპერაციაში არასრულწლოვანთა წევრობის შესახებ“ და „კულაკთა და საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულთა კოოპერაციაში მიუშვებლობის შესახებ“ გამოცემული სსრ-კის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 13-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 56 №-ი, მუხ. 590 და 591) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. იანვრის 15-ის დეკრეტს „'ასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2 და 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 118) დაემატოს $1^1$ და $11^1$ მუხლებში შემდეგი შინაარსისა:

„$1^1$. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის წევრად შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და აქვს საბჭოთა საარჩევნო უფლება, აგრეთვე არასრულწოვანი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნული წესის გამონაკლისად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის წევრად ყოფნა შეუძლიან ისეთ პირს, რომელსაც საბჭოთა საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს, იმ პირობით კი, უკეთუ იგი ეკუთვნის ისეთი ოჯახის შედგენილობას, რომელშიაც არიან საბჭოთა ხელისუფლების ერთგული პარტიზანელი, წითელარმიელი და წითელფლოტელი (მერიგეთა და თავდგომთა შედგენილობისა), სოფლის მასწავლებელი—ქალი თუ კაცი—და აგრონომი და უკეთუ ეს პირნი თავდებობას გაუწევენ თავიანთი ოჯახის წევრს. ხოლო ამასთანავე ზემოაღნიშნულ პირს არ შეუძლიან იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის დამფუძნებლად“.

„$11^1$. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის საგამგებლო და სარევიზიო ორგანოების არჩევაში მონაწილეობის მისაღებად და აგრეთვე ამ ორგანოებში არჩევისათვის საჭიროა საბჭოთა საარჩევნო უფლების ქონა. ამ წესის გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ იმ არასრულწლოვან მოქალაქეთათვის, რომელთაც შეუსრულდათ 16 წელი (მუხ. $1^1$)“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მარტის 10.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნალური და საბინაო მეურნეობა

## 81. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან კომუნალური მეურნეობის სამმართველოს მოწყობისა და ამ სამმართველოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.**

„მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ლიკვიდაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 15-ის დადგენილების საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 60 №-ი, მუხ. 640) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან კომუნალური მეურნეობის სამმართველო, და დამტკიცებულ იქნეს ამა დადგენილებასთან დართული დროებითი დებულება აღნიშნული სამმართველოს შესახებ.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს სსრ სხვა ცენტრალურ დაწესებულებებს, რომელთა გამგებლობის საგანსაც ეკუთვნის ის საკითხები, რასაც კომუნალური მეურნეობის სამმართველოს დროებითი დებულების თანახმად ეს ორგანო განაგებს, გადასცენ სათანადო საქმეები აღნიშნულ სამმართველოს.

3. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ თავიანთ პრეზიდიუმებთან კომუნალური მეურნეობისა, არასამრეწველო მშენებლობისა და სახანძრო საქმის გამგებლობისათვის კომუნალური მეურნეობის ორგანოები, რომელნიც იმოქმედებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობით და დირექტივებით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია,**

1931 წ. მარტის 13.
ტფილისი.

### დროებითი დებულება

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველოს შესახებ.**

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კომუნალური მეურნეობისა, არასამრეწველო მშენებლობისა და სახანძრო საქმის ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს კომუნალური მეურნეობის სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კომუნალური მეურნეობის სამმართველოს დაეკისრება:

1) შეადგინოს რესპუბლიკანური საპერსპექტივო და წლიური გეგმები კომუნალური, საბინაო და სხვა არასამრეწველო მშენებლობისა და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ სფეროში (ცენტრალურ და ადგილობრივ (საქალაქო და სარაიონო) ორგანოებს, რომელნიც სათანადო საკითხებს განაგებენ;

2) მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიოს სათანადო ცენტრალურ დაწესებულებებსა და ადგილობრივ ორგანოებს ზემოაღნიშნული გეგმების შესრულების საქმეში;

3) მისცეს დასკვნა კომუნალური მეურნეობისა, საბინაო და სხვა არასამრეწველო მშენებლობისა და სახანძრო საქმის ღონისძიებათა დაფინანსების და დაკრედიტების პროექტების შესახებ;

4) გასწიოს კონტროლი, რათა ადგილობრივ სწორედ იქნეს გამოყენებული სპეციალური კაპიტალები, რაც დანიშნულია კომუნალური მეურნეობისა, საბინაო და სხვა არასამრეწველო მშენებლობისა და სახანძრო საქმის ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

5) შეისწავლოს საბინაო მეურნეობის მდგომარეობა და მოსახლეობის საბინაო პირობები და აგრეთვე შეიმუშაოს საერთო ღონისძიებანი საბინაო კრიზისის ლიკვიდაციისათვის;

6) მისცეს დასკვნა შენობების მუნიციპალიზაციისა და დემუნიციპალიზაციის საკითხების შესახებ;

7) ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს მუნიციპალიზებული შენობების მმართველობისა და სამეურნეო ექსპლოატაციის საქმეში;

8) გასწიოს ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა საცხოვრებელი ფართობის ნორმირებისა და რაციონალური გამოყენების საკითხების სფეროში;

9) ხელმძღვანელობა გაუწიოს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს საბინაო მშენებლობის სფეროში, კერძოდ, აღნაგობისა, დაშენებისა და შენობის აღდგენის უფლებით წარმოებული საბინაო მშენებლობის საკითხების სფეროში და სხვ.;

10) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს მუნიციპალური საბინაო ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარებისა და საბინაო ფონდის საამორტიზაციო კაპიტალების შექმნისა და გამოყენების საქმეს;

11) შეიმუშაოს საკითხები საბინაო და არასამრეწველო მშენებლობის ნორმალიზაციისა, სტანდარტიზაციისა და ცეცხლმძლეობის შესახებ და აგრეთვე შეიმუშაოს საცხოვრებელი სადგომების სატიპო პროექტები;

12) განიხილოს ცენტრალური დაწესებულებებისა და ადგილობრივი ორგანოების ხარჯთაღრიცხვები და განცხადებანი საბინაო სადგომების მშენებლობისა და აღდგენის შესახებ, აგრეთვე მისცეს დასკვნა ამ ხარჯთაღრიცხვებისა და განცხადებების შესახებ და თვალყური ადევნოს დამტკიცებული სამშენებლო პროგრამების შესრულების საქმეს;

13) ინსტრუქტირება გაუწიოს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს სამშენებლო ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და ტეხნიკური და მატერიალური ანგარიშგების წარმოების საქმეში;

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

14) ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს კერძო საბინაო მშენებლობის ზედამხედველობის საქმეში;

15) შეიმუშაოს საცხოვრებელი სადგომების ტარიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები და თვალყური ადევნოს ადგილობრივი ორგანოების მოქმედებას ამ სფეროში;

16) ხელმძღვანელობა, ინსტრუქტირება და მეთვალყურეობა გაუწიოს ადგილობრივი ორგანოების მოქმედებას ქალაქის და სოფლის კეთილმოწყობისა, ცეცხლმძლე და არასამრეწველო მშენებლობის წარმოებისა და აგრეთვე კომუნალურ საწარმოთა მშენებლობისა და ექსპლოატაციის სფეროში;

17) განიხილოს ადგილობრივი ორგანოების ხარჯთაღრიცხვები და განცხადებანი კეთილმოწყობის საკითხებისათვის და მისცეს დასკვნა ამ ხარჯთაღრიცხვებისა და განცხადებების შესახებ;

18) ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს საქალაქო მიჯნის გაფორმებისა და გაფართოების სფეროში; განიხილოს ქალაქის მიწათმოწყობისა, დაგეგმვის და გადაგეგმვის პროექტები და მისცეს დასკვნა ამ პროექტების შესახებ;

19) განიხილოს ახალი მშენებლობისა და კომუნალურ საწარმოთა რეკონსტრუქციის ტეხნიკური პროექტები;

20) აღნუსხოს საქართველოს სსრ-ის კომუნალური საწარმონი, დააწესოს კომუნალურ საწარმოთა ინვენტარიზაციის ტეხნიკური მეთოდები და ნორმები, ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს კომუნალურ საწარმოთა ინვენტარიზაციის საქმეს;

21) შეიმუშაოს საკითხები, რაც დაკავშირებულია კომუნალური მომსახურეობის ტარიფიკაციასა და კალკულიაციასთან, კომუნალურ საწარმოთა ტრესტებათ მოწყობასთან და საამორტიზაციო ანარიცხების სათანადო გადადებასთან და გამოყენებასთან, აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს ამ სფეროში;

22) შეიმუშაოს და განახორციელოს სახანძრო საქმის ღონისძიებათა საერთო-სახელმწიფო გეგმა როგორც ხანძრის გაჩენისა და გავრცელების წინასწარ აცდენისა, ისე ქრობის სფეროში;

23) ხელმძღვანელობა გაუწიოს სახანძრო საქმეს, გააერთიანოს კომუნალურ, საუწყებო და საზოგადოებრივ სახანძრო ორგანიზაციათა მუშაობა და საერთო კონტროლი გაუწიოს ამ ორგანიზაციათა მოქმედებას;

24) გამოიკვლიოს სახანძრო საქმე და რევიზია გაუკეთოს ხოლმე მას ქალაქებში, სოფლებში და აგრეთვე იმ უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომელნიც უშუალოდ ანხორციელებენ სახანძრო საქმის ღონისძიებებს;

25) აწარმოოს სახანძრო ინვენტარისა და გაწყობილობის ნორმალიზაცია, საერთო კონტროლი და ზედამხედველობა გაუწიოს გასაყიდი სახანძრო ხელსაწყოების ხარისხს, აგრეთვე აწარმოოს სახანძრო ხელსაწყოების გამოცდა და ხელი შეუწყოს გამოსადეგი და საუკეთესო ხელსაწყობის გავრცელებას;

26) აწარმოოს საერთო-სახელმწიფო კომუნალური, საბინაო და სახანძრო სტატისტიკა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

27) ალნუსხოს სახანძრო იარაღები და საშუალებანი და მოახდინოს ხოლმე მათი გადაჯგუფება;

28) ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციას ხანძართან და სხვა სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად და აგრეთვე დაზარალებულთათვის საზოგადოებრივი დახმარების აღმოჩენის საქმეს;

29) განახორციელოს ღონისძიებანი კომუნალური მეურნეობის მომუშავეთა კადრების მოსამზადებლად (საზოგადოებრივი კეთილმოწყობის, კომუნალური და არასამრეწველო მშენებლობის და სახანძრო საქმის მომუშავეთა კადრები).

3. კომუნალური მეურნეობის სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც დანიშნავს და უკანვე გაიწვევს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

კომუნალური მეურნეობის სამმართველოს უფროსი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

4. კომუნალური მეურნეობის სამმართველოს უფროსი გადასწყვეტს სამმართველოს ქვემდებარე საკითხებს ერთპიროვნად და უფლება აქვს სამმართველოს გამგებლობის საკითხების შესახებ გამოსცეს დადგენილებანი, წესები და ინსტრუქციები, ხოლო სახანძრო დაცვის საკითხების შესახებ—მთლად მოსახლეობისათვის სავალდებულო დადგენილებანი იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია—სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულებაში.

5. კომუნალური მეურნეობის სამმართველოს შესანახი ხარჯი დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტით გაცემული სახსარიდან.

6. კომუნალური მეურნეობის სამმართველოს სტრუქტურა და შტატი დამტკიცდება კანონით დადგენილი საერთო წესისამებრ.

7. კომუნალური მეურნეობის სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

---

## ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

### 82. დადგენილება ს.კ.ს.

**1931 წ. წარვლინებებისა და საგამოკვლევო სამუშაოების ხარჯის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ უწყებებსა და დაწესებულებებს წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1931 წ. მარტის 25-სათვის საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებული წარვლინებებისა

და საგამოკვლევო სამუშაოების გეგმები 1931 წლისათვის ამ წარვლინებებისა და სამუშაოებისათვის საჭირო სახსარის გამოანგარიშებით. გეგმით გაუთვალისწინებელი წარვლინებებისა და საგამოკვლეო სამუშაოებისათვის თვითეული უწყებისა და დაწესებულების ხარჯთაღრიცხვაში 1931 წ. შეიძლება შეტანილ იქნეს არა უმეტეს გეგმით გამოანგარიშებული თანხის $15^0/_0$-ისა.

2. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებში წარვლინებებისა და საგამოკვლეო სამუშაოებისათვის 1931 წ. შეტანილი ყველა კრედიტი შეამციროს იმ რაოდენობამდე, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უწყებებსა და დაწესებულებებს შეამცირონ მათ გამგებლობაში მყოფ სამეურნეო ორგანოთა საწარვლინებო ხარჯი 1931 წლისათვის არა ნაკლებ, ვიდრე $50^0/_0$-ით ამ ორგანოების მიერ 1929/30 წელს გაწეულ სათანადო ხარჯთან შედარებით, რისთვისაც გადაჭრით შემცირებულ უნდა იქნეს საგამოკვლევო ხასიათის წარვლინებანი.

4. მიენდოს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს სასწრაფოდ გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი მათი ქვემდებარე დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანოების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თამჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მარტის 19.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 71 №-ში 1931 წ. მარტის 28.

---

## შ რ ო მ ა

### 83. დადგენილება ს.კ.ს.

**მომუშავე კადრების და საჭაპანზიდვო მუშა-ძალის შეკრეფისა და ამ კადრებით და მუშა-ძალით სამეურნეო ორგანოების შევსების შესახებ.**

„მუშა-ძალის მიზიდვის წესის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის მარტის 3-ის თარიღის და 82 №-ის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და განსაზოგადოებული სექტორის სხვა სამეურნეო ორგანოებს დაუყოვნებლივ მოაწყონ,— შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების წესისამებრ,— მომუშავე კადრებისა და საჭაპანზიდვო მუშა-ძალის შეკრეფა და ამ კადრებით და მუშა-ძალით თავის ქვემდებარე საწარმოთა და მშენებლობათა შევსება.

2. წინადადება მიეკეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს სასწრაფო წესით განსაზღვროს მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის შეკრეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილები ცალკეული სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ამ უკანასკნელთა განცხადების მიხედვით, თანაც უზრუნველჰყოს ყველა დაკვრითი მშენებლობის სრული დაკმაყოფილება რიგს გარეშე და გამოარკვიოს ის წყარო, რითაც დაფარულ უნდა იქნეს მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის დეფიციტი.

დაევალოს განსაზოგადოებული სექტორის სამეურნეო ორგანოებს 5 დღის ვადაზე, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, წარუდგინონ საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს განცხადებანი იმ მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის შესახებ, რაც მათთვის საჭირია 1931 სამეურნეო წელს.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან, მომარაგების სახალხო კომისარიატთან და განსაზოგადოებული სექტორის სხვა მსხვილ ორგანიზაციებთან ერთად, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამეურნეო მუშაობას ეწევიან, განსაზღვროს საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით ერთგვაროვან სამუშაოთა ერთნაირი შეფასება და შეიმუშაოს ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნეს მუშა-ძალის დენადობა და საუწყებათაშორისო კონკურენცია ამ მუშა-ძალის შეკრეფის საქმეში.

4. პასუხისმგებლობა მუშა-ძალის არა თავის დროზე შეკრეფისა, მისი არა სწორე გამოყენებისა და აგრეთვე საწარმოში, სამუშაოში და მშენებლობაში იმაზე მეტი მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის დაგროვებისათვის, რაც გეგმით გათვალისწინებულია, დაეკისრება სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მარტის 13.
ტფილისი.

---

## 84. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სასოფლო საბჭოებისათვის სოფლად თავისუფალი მუშა-ძალის გამორკვევის მოვალეობის დაკისრების შესახებ.**

რათა სავსებით მოცულ იქნეს მთელი თავისუფალი მუშა-ძალა, რაც სოფლად არის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. თავისუფალი მუშა-ძალის გამორკვევა და აღნუსხვა იმ ტერიტორიაზე, რასაც აერთიანებს სასოფლო საბჭო, დაეკისროს სასოფლო საბჭოებს.

2. კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობანი ცნობას იმ თავისუფალი მუშა-ძალის თაობაზე, რაც კოლექტიური მეურნეობების ფარგლებშია, აწვდიან სათანადო სასოფლო საბჭოებს.

3. შეგროვილ ცნობებს თავისუფალი მუშა-ძალის თაობაზე სასოფლო საბჭო პერიოდულად, თვითეულ 15 დღეში ერთხელ, წარუდგენს შრომის სარაიონო ორგანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამ მოვალეობის შესასრულებლად თვითეული სასოფლო საბჭო გამოჰყოფს თავისი შედგენილობიდან პასუხისმგებელ პირს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მარტის 1.

ტფილისი.

---

## სოციალურ-კულტურული წყობილება

### 85. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ-ის მშრომელ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის შესახებ.**

სოციალისტური მშენებლობის აჩქარებული ტემპები გადაჭრით მოითხოვენ მშრომელთა ფართო მასების კულტურული დონის ამაღლებას. რათა შესაძლებელი გახდეს ამ მასების სოციალისტურ მშენებლობაში შეგნებული მონაწილეობა და სახალხო მეურნეობის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, 1929 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილების შესაცვლელად და დასამატებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 241 და 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 222), ადგენს:

1. იმ მოქალაქეთა წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, რომელნიც საქართველოს სსრ მშრომელ მოსახლეობას ეკუთვნიან, დაწყებული 15 წლიდან,ვიდრე 40 წლის ასაკამდე, ხოლო ორგანიზებული მოსახლეობისა—50 წლამდე, სავსებით განხორციელებულ იქნეს 1932 წ. იანვრის 1-დე.

2. ხსენებული ასაკის მოქალაქენი, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, ვალდებულ არიან შეისწავლონ წერა-კითხვა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი პროგრამის ფარგლებში იმ ვადაზე, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში.

3. ის პირი, ვინც თავს აარიდებს ამა დადგენილებით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებას, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, და აგრეთვე ის პირი, ვინც, ხელს შეუშლის ამ მოვალეობის შესრულებას, პასუხს აგებს საადმინისტრაციო წესით სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილების თანახმად, რაც გამოიცემა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების დებულების წესით.

**შენიშვნა.** დადგენილება ესე არა ვრცელდება იმ პირებზე, რომელნიც ცხოვრობენ აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისა და ახალციხისა, ახალქალაქისა, ტოლოშისა, ადიგენისა, წალკისა, ბაშკიჩეთისა, ბორჩალოს, ლიუქსემბურგისა, ხევისა და ზემო-სვანეთის რაიონების ტერიტორიაზე, და აგრეთვე ფშავხევსურებზე.

4. მეთვალყურეობის გაწევა მე-2 და მე-3 მუხლებში გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ლაშქრობის ცენტრალურ შტაბს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

5. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ფულადი ფონდების შესაქმნელად მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსარი, რის მოგვარებაც დაევალოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ლაშქრობის ცენტრალურ შტაბს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

6. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) გააძლიერონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და საამისო მუშაობისათვის ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის გაწევა და დაუგვიანებლად და გადაუხვევლად გაატარონ მთავრობის მიერ ამ საკითხის შესახებ მიცემული დირექტივები;

ბ) თავის დროზედ უზრუნველჰყონ წერა-კითხვის სკოლები სადგომებით, ინვენტარით, გათბობით და განათებით.

7. რათა უზრუნველყოფილ იქნეს სრული შესაძლებლობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა ამა დადგენილების 1-ლი მუხლით განსაზღვრული დროის განმავლობაში, შემოღებულ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სფეროში შეუწყვეტელი სასწავლო წელიწადი.

8. დაწესებულ იქნეს:

ა) ექვსი პრემია, თითო 5.000 მანეთის რაოდენობით, იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დასაჯილდოებლად, რომლებიც მეტ უნარს და ზრუნვას გამოიჩენენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და წარმატებით ჩაატარებენ მას; ბ) ათი პრემია, თითო ათას-ათასი მანეთის რაოდენობით, სოფლის საბჭოების დასაჯილდოებლად ასეთივე ხასიათის მუშაობისათვის.

დაევალოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ცენტრალურ შტაბს შეიმუშაოს ამ პრემიების გაცემის წესი.

**შენიშვნა.** პრემიებისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფონდიდან.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობას დროზე უზრუნველჰყოს წერა-კითხვის სკოლები სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო საგნებით.

10. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს და დაინტერესებულ ორგანოებს დაუყოვნებლივ მისცენ, ამა დადგენილების საფუძველზე, თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს დირექტივები წერა-კითხვის უცოდინარობის განსაზღვრული დროისათვის ლიკვიდაციის წესის შესახებ.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მარტის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 65 №-ში 1931 წ. მარტის 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 86. დადგენილება ს.კ.ს.

### სანიტარული მინიმუმის შესახებ.

შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების ძირითადი გაჯანსაღება მოითხოვს სანიტარული კეთილმოწყობის (დაგეგმვა, წყალსადენის გაყვანა, კანალიზაცია და სხვ.) იმ ღონისძიებათა სწრაფი ტემპით გატარებას, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით. ამასთანავე, საჭიროა უახლოეს წლებისათვის მნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს უმარტივეს, მასიურ, ხელმისაწვდენ სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა მინიმუმის განხორციელება.

ამისდამიხედვით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნეს საჭიროდ, მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის საფუძველზე, უმარტივეს სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელება („სანიტარული მინიმუმი“), როგორც არის: ა) წყლით მომარაგება—წყაროებისა და წყალსადენების ნაგებობათა სანიტარული დაცვა, შეკეთება და სათანადოდ მოვლა; ბ) უსუფთაობათა და ნაშთებთა გატანა; გ) კეთილმოწყობისა და ბონიფიკაციის უმარტივესი ღონისძიებანი—ჭუჭყიანობასა და დაჭაობებასთან ბრძოლა უსუფთაობის ლიკვიდაციით და აგრეთვე გუბეების ამოვსებით და პატარ-პატარა ჭაობების დაშრობით და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებით (მონავთიანება, მომაზუთიანება, პარიზული სიმწვანის მოყრა და სხვ.), ადამიანთა მექანიკური დაცვა სამალარიო კოღოებისაგან და სხვ.; დ) მწვანეულობის დარგვა—მცენარეულობის გაშენება, დაცვა და გავრცელება; ე) ბინების სანიტარული შენახვა—ყოველდღე დაგვა და ჰაერის გასუფთავება, პარაზიტებთან, თაგვებთან და მისთანებთან ბრძოლა, მიმდინარე რემონტის თავის დროზე გაკეთება; ვ) საწარმოთა და დაწესებულებათა სანიტარული შენახვა—პირსაბანებისა, შხაპებისა და ტანსაცმელის გასახდელი ადგილების მოწყობა, სპეციალური სადგომების გამოყოფა ჭამა-სმისათვის, სადგომების დაგვა და ჰაერის გასუფთავება, საერთო სარგებლობის სასამსახურო სადგომებში თამბაქოს მოწევასთან ბრძოლა და სხვ.

2. უშუალო ხელმძღვანლობას სანიტარული მინიმუმის შემუშავებისა და გატარების საქმეში ანხორციელებენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები, და ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ: ა) საბჭოების სექციები (ჯანმრთელობისა, კომუნალური კეთილმოწყობისა, შრომისა და ყოფაცხოვრებისა და სხვ.); ბ) პროფესიონალურ კავშირთა და განსაკუთრებით მედსანშრომის, ადგილობრივი ორგანიზაციები; გ) კოოპერატიული ორგანიზაციები; დ) ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის და პიონერთა ორგანიზაციები; ე) წითელი ჯვრისა და სხვ. ორგანიზაციები. ამა თუ იმ საწარმოში სანიტარული მინიმუმის შედგენას და განხორციელებას ხელმძღვანელობას უწევენ შრომის სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები, ჯანმრთელობისა და მრეწველობის სამმართველო ორგანოებთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. იმ სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გასატარებლათ საჭირო ხარჯები, რომელთა დაფინანსებაც კანონით დაკისრებული აქვთ ადგილობრივ ბიუჯეტს, სამეურნეო ორგანოებს და სხვა ორგანიზაციებს, გაღებულ უნდა იქნეს კანონით განსაზღვრული წესისამებრ.

მშრომელი მოსახლეობა თავისი სახსარით მონაწილეობას იღებს სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში მხოლოდ ნებაყოფლობით.

4. ის საკითხები, რაც დაკავშირებულია სანიტარული მინიმუმის უშუალოდ გატარებასთან ამა თუ იმ ცალკეულ საწარმოსა, დაწესებულებასა, კოლექტიურ მეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა, სკოლასა და საბინაო ამხანაგობაში, განიხილება სათანადო კოლექტივის საერთო კრებაზე.

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საზოგადოებრივი კონტროლის დამყარებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, სამეურნეო ორგანოებმა, ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სხვ., 1931 წლისათვის საკონტროლო ციფრებისა და ოპერატიული გეგმის გაზუსტების დროს, ხოლო შემდგომ საპერსპექტივო და ოპერატიული გეგმების შედგენის დროს, უნდა გაითვალისწინონ სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო ასსიგნვები.

6. ინსტრუქციებსა და წესებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი დაინტერესებულ უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოად. ა. ანთაძე.

1931 წ. თებერვლის 5.
ტფილისი

---

## სისხლის სამართალი

### 87. დადგენილება ც.ა.კ.

**საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების იმ პირებზე გავრცელების შესახებ, რომელთაც აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წლის მარტის 4-დე ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული სრულიად საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. თებერვლის 24-ის დადგენილების მოქმედება („კომუნისტი“-ს 1931 წ. 48 №-ი) გავრცელებულ იქნეს იმ პირებზე, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული და მცირე დანაშაული აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წ. მარტის 4-მდე, უკეთუ ეს პირნი მსჯავრდადებულ არიან აფხაზეთის ავტ. სსრ-ის სასამართლო ორგანოების მიერ ან უკეთუ მათ ადმინისტრატიული ან დისციპლინარული გადასახდელი დაადვას აფხაზეთის ავტ. სსრ-ის სათანადო ორგანოებმა.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1931 წ. მარტის 1.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 52 №-ში 1931 წ. მარტის 4.

---

## 88. დადგენილება ც.ა.კ.

**საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების იმ პირებზე გავრცელების შესახებ, რომელთაც აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წლის მარტის 18-მდე ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავათ ამნისტიის თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. თებერვლის 24-ის დადგენილების მოქმედება („კომუნისტი“ 1931 წ. 48 №-ი) გავრცელებულ იქნეს იმ პირებზე. რომელთაც ჩაიდინეს დანაშული და მცირე დანაშაული აჭარისტანის ავტონომიური სსრ ის ტერიტორიაზე 1931 წ. მარტის 18-მდე, უკეთუ ეს პირნი მსჯავრდადებული არიან აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სასამართლო ორგანოების მიერ, ან უკეთუ მათ ადმინისტრატიული ან დისციპლინარული გადასახდელი დაადვეს აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სათანადო ორგანოებმა.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებული იქნეს ტელეგრაფით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1931 წ. მარტის 13.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 63 №-ში 1931 წ. მარტის 18.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასამართლოს წყობილება და სამართლის წარმოება

### 89. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისა და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.**

დამცველთა კოლეგიის გასაჯანსაღებლად და მისი მუშაობის კოლექტიურ საფუძველზე დასამყარებლად, რაც უზრუნველჰყოფს სათანადოდ და სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანების შესაბამისად მუშებისა, ღარიბ და საშუალო გლეხობისა და ქალაქის და სოფლის სხვა მშრომელთა და მათ შენაერთთა ინტერესებისათვის მომსახურეობის გაწევას,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან ამ ჟამად მომქმედი დამცველთა კოლეგია დაშლილ იქნეს და ახლად მოეწყოს იგი საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის ქვემომდევნო დროებითი დებულების საფუძვლებზე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს მოახდინოს დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაცია ორი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან და გამოსცეს, რესპუბლიკის პროკურორთან შეთანხმებით, ინსტრუქცია დამცველთა კოლეგიის ძველი შედგენილობის დაშლის და ახალი კოლეგიის შედგენის წესის შესახებ.

აღნიშნულმა ინსტრუქციამ:

ა) უნდა გაითვალისწინოს დასაშლელი დამცველთა კოლეგიის მოქმედების მოსპობის წესი და ვადა, დამცველთა კოლეგიის ძველი შედგენილობის წევრების ხელში წარმოებული საქმეების ლიკვიდაციის წესი და ვადა, დამცველთა კოლეგიის წევრების ახლად შეკრების წესი, დამცველთა კოლეგიის ახალი შედგენილობის პრეზიდიუმის არჩევისა და დამცველთა კოლექტივების მოწყობის წესი და ვადა;

ბ) უზრუნველჰყოს ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ინტერესების დაცვა სასამართლო დაწესებულებებში დამცველთა კოლეგიის რეფორმის ჩატარების პერიოდში, აგრეთვე იმ ორგანიზაციებისა და პირების ინტერესების დაცვა, რომელთაც თავიანთი საქმეების წარმოება სასამართლოებში მიუნდვიათ დამცველთა კოლეგიის ძველი შედგენილობის წევრებისათვის.

3. დროებით, ვიდრე გადაისინჯებოდეს სასამართლოს წყობილების მომქმედი დებულება, დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დროებითი დებულება საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის შესახებ და გაუქმებულ იქნეს სასამართლოს წყობილების დებულების მე-VI თავი „დამცველთა კოლეგია“ (39—$47^5$ მუხ.—საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-ი, მუხ. 128).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მიენდოს აფხაზეთის ავტონ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სასამართლო დაწესებულებებთან არსებული დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაცია საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის დროებითი დებულების საფუძვლებზე.

სრ. საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ლ სუხიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. მარტის 13.

ტფილისი.

## დროებითი დებულება

### საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის შესახებ.

1. მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად და სასამართლოში დაცვის ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან, მისი ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით, მოქმედობს დამცველთა კოლეგია სისხლის საქმეთა და სამოქალაქო საქმეთათვის.

2. დამცველთა კოლეგიის წევრად შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, უკეთუ მას, თანახმად საქართველოს სსრ ძირითადი კანონისა (კონსტიტუციის) და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციისა საბჭოების არჩევნების შესახებ, აქვს საარჩევნო უფლება და თანაც ორ წლისაზე არა ნაკლები სტაჟი იუსტიციის ორგანოებში მუშაობისა გამომძიებლის თანამდებობაზე არა დაბალ თანამდებობაზე, ან უკეთუ იგი იყო დამცველთა კოლეგიის წევრად ან იურისკონსულტად სახელმწიფო ორგანოებში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში არა ნაკლებ ორი წლისა, ან და უკეთუ იგი ჩააბარებს სათანადო გამოცდას საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას.

შენიშვნა. უზენაეს სასამართლოს შეუძლიან გაანთავისუფლოს ამა მუხლში აღნიშნული გამოცდისაგან ის პირი, ვინც საქართველოს სსრ-ისა და საბჭოთა სხვა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელში მიიღო დასრულებული იურიდიული განათლება.

3. დამცველთა კოლეგიის წევრად არ შეიძლება იყოს:

ა) ის პირი, ვინც სახელის შემბღალავი საქციელისა და ყოფაქცევისათვის გამორიცხულია საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან; ასეთი პირის მიღება კოლეგიაში წევრად შეიძლება მხოლოდ სამი წლის შემდეგ დღიდან გამორიცხვისა, უკეთუ ამ ვადის გასვლამდე არ მოხდა მისი რეაბილიტაცია;

ბ) ის პირი, ვინც გამორიცხულია დამცველთა კოლეგიიდან სადისციპლინო წესით კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ის პირი, რომელიც მოხსნილია სამსახურიდან სახელმწიფო ორგანოში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში „სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატების წმენდის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 1-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 35 №-ი, მუხ. 313);

დ) ის პირი, ვისაც მსჯავრი დაედო ანგარებითი და სახელის შემბღალავი საზოგადოებრივად საშიში მოქმედებისათვის.

**შენიშვნა.** ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული პირი შეიძლება ხელახლად მიღებულ იქნეს დამცველთა კოლეგიის წევრად არა უადრეს, ვიდრე სამი წლის გასვლის შემდეგ დამცველთა კოლეგიიდან გამორიცხვის დღიდან.

4. დამცველთა კოლეგიაში წევრებს მიიღებს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

**შენიშვნა.** დამცველთა კოლეგიაში, მისი შედგენილობის რეორგანიზაციის შემდეგ, წევრებს თავდაპირველად მიიღებს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო, ხოლო წევრების შემდგომი მიღება რეგულირდება ამა დებულების მე-4, 5 და მე-6 მუხლებში გათვალისწინებული წესებით.

5. დამცველთა კოლეგიაში ამა თუ იმ პირის მიღებას დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი აცნობებს დაუყოვნებლივ საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, დამცველთა კოლეგიაში შემავალი პირის მიერ არჩეული მოქმედების ადგილის მიხედვით, და აგრეთვე უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურორს.

სათანადო საქალაქო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე უზენაეს სასამართლოს აქვს დამცველთა კოლეგიის წევრად მიღებული პირის ჩამოცილების უფლება ერთი თვის განმავლობაში დღიდან ზემოაღნიშნული ცნობის მიღებისა.

ამავე ორგანოებს აქვთ აგრეთვე უფლება, როდესაც საჭიროდ დაინახავენ, უკან გაიწვიონ დამცველთა კოლეგიის წევრი.

6. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის უარი კოლეგიის წევრად მიღებაზე შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს უზენაეს სასამართლოში 15 დღის განმავლობაში დღიდან უარის შესახებ ცნობის მიღებისა.

რესპუბლიკის პროკურორს შეუძლიან განაპროტესტოს უზენაესი სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პირის დამცველთა კოლეგიის წევრად მიღება 15 დღის განმავლობაში დღიდან ამის თაობაზე ცნობის მიღებისა.

უზენაესი სასამართლოს დადგენილება ზემოაღნიშნული საჩივრისა და პროტესტის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

7. დამცველთა კოლეგიის წევრს არ შეუძლიან რაიმე თანამდებობა დაიჭიროს სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. ამ წესის გამონაკლისი შეიძლება: ა) იმ პირისათვის, ვისაც თანამდებობა არჩევით უჭირავს; ბ) იურიდიული და ეკონომიური

ეროვნული

მეცნიერების პროფესორისა, დოცენტისა და მასწავლებლისათვის და გ) იურის-კონსულტისა და კონსულტანტისათვის.

**შენიშვნა.** ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, სახალხო კომისართა საბჭოსთან, უზენაეს სასამართლოსთან, სახელმწიფო პროკურატურასთან და საარბიტრაჟო კომისიასთან განწესებულ იურისკონსულტს და კონსულტანტს არ შეუძლიან ეს თავისი თანამდებობა შეათავსოს დამცველთა კოლეგიის წევრის მუშაობასთან.

8. დამცველთა კოლეგიის მმართველობის ორგანოები არიან: ა) დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო კრება და ბ) დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

9. დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო კრების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) აირჩიოს კოლეგიის პრეზიდიუმი;

ბ) განიხილოს საერთო საკითხები, რაც ეხება დამცველთა კოლექტივებისა და კოლეგიის ცალკეული წევრების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას—მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევისა და სასამართლოში დაცვის ამოცანების სფეროში;

გ) დაამყაროს დამცველთა კოლექტივებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების მოქმედების საერთო გეგმა;

დ) განსაზღვროს დამცველთა კოლეგიის ფონდში შესატანი დამცველთა კოლექტივების შემოსავლის ანარიცხებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების გადასახადის რაოდენობა;

ე) მოისმინოს და დაამტკიცოს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და დამცველთა კოლექტივების ანგარიშები.

10. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მიიღოს დამცველთა კოლეგიის ახალი წევრები და განიხილოს განცხადებები კოლეგიიდან გასვლის თაობაზე;

ბ) შეიმუშაოს უზენაესი სასამართლოს მიერ დასამტკიცებელი წესები და ინსტრუქციები, რითაც რეგულირდება დამცველთა კოლექტივებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების მოქმედება;

გ) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს დამცველთა კოლექტივებსა და დამცველთა კოლეგიის წევრების მოქმედებას;

დ) მოაწყოს დამცველთა კოლექტივებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების მეშვეობით მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევის საქმე და აგრეთვე დაუნიშნოს ხოლმე მშრომელთ უსასყიდლო და სასყიდლიანი დაცვა სასამართლოში;

ე) განიხილოს სადისციპლინო წესით დამცველთა კოლეგიის წევრების მიერ მათი პროფესიონალური მოვალეობის დარღვევის საქმეები;

ვ) განაგოს და განკარგოს დამცველთა კოლეგიის ქონება და ფულადი თანხები;

ზ) დაამტკიცოს და უკან გაიწვიოს დამცველთა კოლექტივების გამგეობის წევრნი და ხელმძღვანელნი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) იხმაროს ღონისძიებანი დამცველთა კოლეგიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

11. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს უფლება აქვს დაადვას დამცველთა კოლეგიის წევრს დადგენილი წესებისა და პროფესიონალური მოვალეობის დარღვევისათვის, წინასწარ მისგან განმარტების მოთხოვნით, შემდეგი სადისციპლინო გადასახდელი: ა) გაფრთხილება, ბ) საყვედური, გ) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 100 მანეთისა, დ) პროფესიონალური მოღვაწეობის აკრძალვა არა უმეტეს, ვიდრე ერთი წლის ვადით, და ე) დამცველთა კოლეგიიდან გამორიცხვა.

კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილება სადისციპლინო საქმეზე დამცველთა კოლეგიის იმ წევრს, რომელსაც გადასახდელი დაედვა, შეუძლიან განასაჩივროს უზენაეს სასამართლოში 15 დღის ვადაზე დადგენილების გამოცხადების დღიდან; აგრეთვე ეს დადგენილება შეუძლიან განაპროტესტოს რესპუბლიკის პროკურორს იმავე ვადაზე მისთვის სათანადო დადგენილების შეტყობინების დღიდან.

12. იურიდიული დახმარების გაწევას სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, აგრეთვე მათი ინტერესების დაცვას სასამართლო ორგანოებში დამცველთა კოლეგიის წევრები განახორციელებენ დამცველთა კოლექტივების მეშვეობით ან ინდივიდუალურად.

დამცველთა კოლექტივები მოეწყობა ქალაქებში, ხოლო ქალაქ-გარე ადგილას—სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობის რაიონში, დამცველთა კოლეგიის ყველა იმ წევრისაგან, ვინც ამა თუ იმ ადგილას ანხორციელებს დამცველთა კოლეგიის წევრის მოქმედებას, უკეთუ მათი რიცხვი სამზე ნაკლები არ არის.

დამცველთა კოლეგიის წევრის მიერ ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელება ინდივიდუალურად შეიძლება მხოლოდ იმ ქალაქსა და ქალაქგარე სასამართლო რაიონში, სადაც დამცველთა კოლექტივი მოწყობილი არ არის.

**შენიშვნა.** დამცველთა კოლეგიის ინდივიდუალურად მომუშავე წევრი მიიშვება საქმის წარმოებისათვის უზენაეს სასამართლოში და საარბიტრაჟო კომისიაში მხოლოდ ისეთ საქმეზე, რაც განიხილა მისი მოქმედების რაიონის სახალხო სასამართლომ პირველი ინსტანციის სახით, ან ისეთ საქმეზე, რაც მიანდო მას მისი მოქმედების რაიონის ტერიტორიაზე მყოფმა დაწესებულებამ, საწარმომ ან ორგანიზაციამ.

13. დამცველთა კოლექტივი ანხორციელებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს ყველა თავისი წევრის პირადი შრომით. დამცველთა კოლექტივში მუშაობა სწარმოებს როგორც კოლექტიურად, ისე ამ მუშაობის ცალკეულ წევრთა შორის განაწილებით. კოლექტივის წევრთ შრომის სასყიდელი ეძლევათ კოლექტივის შემოსავლიდან,—საორგანიზაციო ხარჯებისა და წესდების თანახმად სპეციალურ ფონდებში გადასადები სავალდებულო ანარიცხების გამოკლებით,—კოლექტივის წევრთა კვალიფიკაციისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის და თვისების შესაბამისად. უკეთუ კოლექტივის წევრმა შრომის უნარი დაკარგა, მას უფლება აქვს მიიღოს მატერიალური დახმარება

ეროვნული

კოლექტივისაგან ისეთი რაოდენობით, რასაც დაადგენენ კოლექტივის ორგანოები, ხოლო არა უმეტეს მისი საშუალო საშოვრისა.

14. დამცველთა კოლექტივის ორგანოები არიან: კოლექტივის წევრთა საერთო კრება და კოლექტივის გამგეობა, ხოლო კონტროლის ორგანოები— კოლექტივის სარევიზიო კომისია.

**შენიშვნა.** უკეთუ დამცველთა კოლექტივის შედგენილობა მცირერიცხოვანია, გამგეობის ფუნქციებს ასრულებს კოლექტივის ხელმძღვანელი, ხოლო სარევიზიო კომისიის ფუნქციებს—კოლექტივის წევრთა საერთო კრება.

15. დამცველთა კოლექტივი მოქმედობს წესდების თანახმად; წესდებას ამტკიცებს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო; კოლექტივისათვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ფარგლებში მას აქვს იურიდიული პირის უფლებანი.

**შენიშვნა.** დამცველთა კოლექტივის წესდებით შეიძლება შეზღუდულ იქნეს მის წევრთა რიცხვი.

16. დამცველთა კოლექტივი ლიკვიდირებულ უნდა იქნეს დამცველთა კოლექტივის პრეზიდიუმის დადგენილებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მის შედგენილობაში არ იქნება ამა დებულების მე-12 მუხლით განსაზღვრული წევრთა რიცხვი.

უკეთუ დამცველთა კოლექტივი დაარღვევს კანონს, ამა დებულებას ან თავის წესდებას, აგრეთვე უკეთუ იგი თავისი მოქმედებით გადაუხვევს კოლექტივის მიზნებსა და ამოცანებს,—ყველა ამაში დამნაშავე პირთა წინააღმდეგ შეიძლება აღძრულ იქნეს დევნა სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით. აღნიშნულ შემთხვევებში დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი მიიღებს ღონისძიებას, რათა აღდგენილ იქნეს კოლექტივის წესიერი მოქმედება; ამ მიზნით დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს, თავისი ინიციატივით ან უზენაესი სასამართლოს წინადადებით, შეუძლიან დანიშნოს კოლექტივის გამგეობის ვადამდე არჩევა, დაუყოვნებლივ ჩამოაშოროს გამგეობის მთელი შედგენილობა ან ცალკეული წევრები მოვალეობის აღსრულებას და დანიშნოს კოლექტივის დროებითი ხელმძღვანელი დამცველთა კოლეგიის წევრთაგან.

17. დამცველთა კოლექტივებისა და დამცველთა კოლეგიის წევრების მოვალეობას მიეკუთვნება:

ა) უსასყიდლოდ დაცვა სისხლის და სამოქალაქო საქმეებზე, სასამართლო ორგანოების წინადადებით და დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის დანიშვნით;

ბ) უსასყიდლოდ საკონსულტაციო იურიდიული დახმარების გაწევა მშრომელი ხელმოკლე მოსახლეობისათვის დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული წესით.

18. შრომის სასყიდელი ფიზიკურ და იურდიულ პირთა ინტერესების დაცვისათვის სასამართლო დაწესებულებებში გაიღება შემდეგ საფუძვლებზე:

ა) ის, ვინც სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით ხელმოკლე პირად იქნება ცნობილი, სრულიად განთავისუფლდება მისი ინტერესების დაცვისათვის სისხლის ან სამოქალაქო საქმეზე გასამრჯელოს გაღებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მუშა-მოსამსახურეს, აგრეთვე ისეთ გლეხს და შინამრეწველს, ვინც დაქირავებულ შრომას არ იყენებს, შეუძლიან სასყიდელი მისი იურიდიული ინტერესების დაცვისათვის გაიღოს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ნიხრით;

გ) ის, ვისაც დამცველი დაენიშნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნისამებრ, და ვინც ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში გათვალისწინებულ კატეგორიათ არ ეკუთვნის, გასამრჯელოს იხდის საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ნიხრით;

დ) იურიდიული პირნი და აგრეთვე ის ფიზიკური პირნი, რომელნიც ამა მუხლის წინა პუნქტებში აღნიშნული არ არიან, მათი იურიდიული ინტერესების დაცვისათვის გასამრჯელოს იხდიან დამცველთა კოლექტივის გამგეობასთან ან დამცველთა კოლეგიის ინდივიდუალურად მომუშავე წევრთან შეთანხმებით.

19. დამცველთა კოლექტივებს და დამცველთა კოლეგიის ინდივიდუალურად მომუშავე წევრებს მათ მიერ მიღებულ გასამრჯელოდან შეაქვთ პროცენტული ანარიცხები დამცველთა კოლეგიის ფონდში. ეს ფონდი ხმარდება დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის შენახვას და მის საორგანიზაციო ხარჯებს.

---

## 90. ႣႠႣႢႤႬႨႪႤႡႠ Ⴚ.Ⴀ.Ⴉ. ႣႠ Ⴑ.Ⴉ.Ⴑ.

**სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 182 მუხლის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 182 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა**. იმ პირთა გამოსახლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით, რომელნიც ქირას სიზორროტით არ იხდიან (მშრომელთა და არა მშრომელთა კატეგორიები), ვადის მიცემა შეიძლება არა უმეტეს, ვიდრე 15 დღით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მარტის 13.
ტფილისი.

---

მთავლიტი № 919. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1000